Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№23, იანვარი, 2023

დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მცხოვრები მარტოხელა დედების საჭიროებების კვლევა

მარიამ ქარქაშაძე

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: marikarkashadze@gmail.com

აბსტრაქტი

ოჯახი საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ერთეულს წარმოადგენს. ის თავისი ეკონომიკური მდგრადობით თუ სოციალური ერთობით უნდა აძლიერებდეს სახელმწიფოს. მარტოხელა ქალი პატრიარქალური სისტემისთვის „უპატრონოდ“ დარჩენილ ქალად ითვლება. სიტყვა „უპატრონო“ კი სალანძღავ სიტყვას მიეკუთვნება. მსგავსი ტიპის ოჯახები არასრულფასოვან ოჯახებად ითვლება. თუ ერთი მშობელი, ამ შემთხვევაში, მამა გარდაცვლილია, ოჯახში მისი კულტი მაინც არსებობს. ის, მართალია, ფიზიკურად არ არის, მაგრამ მაინც არსებობს.მამის გარდაცვალება შვილზე სხვაგვარად ვლინდება, ვიდრე ცოცხალი მამის შემთხვევაში მისგან მოშორებით, ცალკე ცხოვრება.

მოცემული კვლევის ფარგლებში კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ ის მარტოხელა დედები, რომლებიც თავიანთი სოციალური მოცემულობით არიან მარტო. დედების გარკვეულ ნაწილს ყოველდღიურად უწევს სხვადასხვა სახის სირთულესთან შეჭიდება. ისინი მრავალ ქვეყანაში პრივილეგიებით სარგებლობენ, მათ შორის სახელმწიფოც უწევს ფინანსურ დახმარებას და მიზნობრივ მომსახურებებსაც სთავაზობს, რაც თავის მხრივ ბავშვის აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. საქართველოში კი ამ მხრივ განსხვავებული ტენდენცია შეინიშნება. მარტოხელა დედებს უჭირთ საკუთარ პრობლემებზე ღიად საუბარი, რაც სხვადასხვა ფაქტორითაა განპიროებებული. მოცემული კვლევის მიზანია დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მყოფი მარტოხელა დედების საჭიროებების შესწავლა.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ: სიღრმისეულ ინტერვიუს, რომელიც ჩატარდა თბილისის მასშტაბით არსებულ სამ თავშესაფარში 12 მარტოხელა დედასთან, რომელთა ასაკი 18- 50 წლამდე მერყეობდა . ასევე კვლევის შედეგების მრავალფეროვნებისთვის და რეალური სურათის შესასწავლად ინტერვიუები ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე სოციალურ მუშაკებთან (საქართველოს კარიტასი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი და SOS ბავშვთა სოფელი. მათი რაოდენობა იყო სამი.).

საკვანძო სიტყვები: თავშესაფარში მცხოვრები მარტოხელა დედები, თავშესაფარში მცხოვრები მარტოხელა დედების საჭიროებები, ხელისშემშლელი სახელმწიფო პოლიტიკა.

შესავალი

საკითხის აქტუალობა

ქართული კანონმდებლობის თანახმად მარტოხელა დედად განიხილება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი ჰყავს, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ინფორმაცია ბავშვის მამის შესახებ; ბ) ამასთანავე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში (საქართველოს პარლამენტი, 2014).

აღნიშნული განმარტება საკმაოდ ვიწროა, რადგან ის გამორიცხავს იმ ქალებს , რომლებიც არიან დაქვრივებულები, განქორწინებულები უწევთ შვილების საჭიროებების დაკმაყოფილება მარტო და გარშემო არ ჰყავთ არავინ მხარდამჭერი ქსელის სახით. გარდა ამისა, აღნიშნული კანონი დისკრიმინაციულია, რადგან ის კონკრეტული დედების ჯგუფს ითვალისწინებს და აცდენილია რეალობას. 2020 წლის 1 ოქტომბრის მონაცემით, სოციალური მომსახურების სააგენტომ მარტოხელა დედობის სტატუსის დადგენაზე დაარეგისტრირა 5 371 განაცხადი, რომელთაგან 4 501-მა ქალმა მიიღო დადებითი პასუხი. ეს მონაცემები არ არის სრულყოფილი და ვერ აჩვენებს მარტოხელა დედების რაოდენობის სრულ სურათს. ერთის მხრივ ეს განპირობებულია იმ ვიწრო განსაზღვრებით, რომელსაც ჩვენი კანონმდებლობა გვთავაზობს და მეორე სირთულეს განაპირობებს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულება, რაც ამძაფრებს სტიგმას და ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ინფორმაციაზე (ვერულაშვილი, 2021).

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში ოფიციალურად 4 500 მარტოხელა დედაა, თუმცა გაცილებით მეტი ქალი ზრდის შვილს მარტო. ყოველი მეორე ქორწინება გაყრით სრულდება. 2019 წელს ოფიციალურ ქორწინებათა რაოდენობა იყო 23 ათას 285, ხოლო ოფიციალურ განქორწინებათა რაოდენობა – 11 ათას 205. მამების 70 პროცენტი არ იხდის ალიმენტს ნებაყოფლობით. არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2015-2016 წლებში ბიუროს წარმოებაში მიღებული აქვს ალიმენტთან დაკავშირებით 2 363 საქმე (ცაავა, 2020).

2022 წელს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილება, რომელიც მარტოხელა დედის და მარტოხელა მამის ტერმინის განმარტების ცვლილებას ითვალისწინებდა. არსებულ განმარტებას ემატება შემდეგი პუნქტები. მარტოხელა დედად/ მამად ჩაითვლებიან ის პირებიც, რომელთა არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელი გარდაცვლილია, გამოცხადებულია გარდაცვლილად ან აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად; ასევე თუკი არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელს ჩამორთმეული აქვს მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა. კომიტეტის წევრების განმარტებით წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების

შინაარსის კანონში ასახვა, კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ცვლილება შეეხება საგადასახადო სისტემასაც. კერძოდ არ დაიბეგრებიან ის მარტოხელა მშობლები, რომელთა წლიური შემოსავალი 3 000 ლარამდეა (საქართველოს პარლამენტი , 2022).

ლიტერატურის მიმოხილვა

ისტორიული თვალსაზრისით და თვალთახედვით, მარტოხელა დედებს განსაკუთრებით დიდი ზარალი ეკონომიკურმა ცვლილებებმა მიაყენა. საბჭოთა კავშირში, სადაც მარტოხელა დედები სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობდნენ სისტემის დაშლის შემდეგ და მოგვიანებით ნეოლიბერალური რეფორმების გატარებას ასეთი ქალების გაღარიბება მოჰყვა, რამაც ისინი უფრო დაუცველები და მოწყვლადები გახადა. მათ შეეზღუდათ საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობა, გაურთულდათ ბავშვის მოვლა-ზრუნვასთან დაკავშირებული საშუალებების მოპოვება. ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებს აღარ გააჩნდათ სერვისები თუ მომსახურებები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენდნენ. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელშიც მარტოხელა დედობა ჯერ კიდევ არ არის ნორმად აღიარებული ის ქალს რთულ, სტრესულ და მუდმივ დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებს. ასეთ პირობებში მარტოხელა დედობა არა მხოლოდ ემოციურ სირთულედ და სოციალურ ბარიერადაა აღქმული, არამედ არსებობისთვის ბრძოლადაა ქცეული (ვერულაშვილი, 2021).

მარტოხელა მშობლის შვილებს საკმაოდ სტრესული ცხოვრება აქვთ იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც ცხოვრობენ ორ მშობელთან. ბევრი ჩატარებული კვლევით დგინდება, რომ მარტოხელა მშობლობა გავლენას ახდენს ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე , ეკონომიკური გაჭირვება, სოციალური ინტერაქცია რაც უარყოფითად აისახება ბავშვის ჯანმრთელობაზე. ფინანსური არასტაბილურობა და კრიზისი არის მთავარი, თანმიმდევრული საკითხი, რომელიც უმეტესობას აწუხებს. მშობლის გადატვირთული გრაფიკი და პასუხისმგებლობა მოქმედებს ბავშვის ქცევით და ემოციურ განვითარებაზე. დროის ნაკლებობის გამო მშობლები ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას ბავშვს და უგულებელყოფენ მათ ზოგიერთ საჭიროებას(Shumaila,2019).

სხვადასხვა თეორიით შესაძლოა აიხსნას ბავშვისა და მშობლის ურთიერთობა, დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. ერთ-ერთი გახლავთ ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია, რომლის ფოკუსია დაკვირვების შედეგად ქცევის დასწავლა და მოდელირება. ბანდურას თქმით , ბავშვები ქცევას სწავლობენ ოჯახში მათი მშობლებისგან. თუ უპასუხისმგებლოდ იქცევა დედა ან მამა , ბავშვი იგივეს ისწავლის. ურთიერთობის პროცესშიც მთავარი პასუხისმგებლობა მშობელს ეკისრება მან უნდა შექმნას სანდო კავშირი შვილთან, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ბავშვებს სირთულეები შეექმნებათ ურთიერთობის დამყარებაში. აქედან გამომდინარე , დადებითი შედეგის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა მშობლები აჩვენებენ ისეთ ქცევას, რომელიც სურთ, რომ ბავშვებმა ისწავლონ. მარტოხელა მშობლების შემთხვევაში ბავშვი უყურებს მხოლოდ ერთი მშობლის ქცევას და იმეორებს მის ქმედებებს. ამიტომ მნიშვნელოვანია ორივე მშობლის ყოლა, რათა ბავშვებს არ ჩამოუყალიბდეთ ოიდიპოსის კომპლექსი(Shumaila, 2019) .

მარტოხელა მშობლები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან სიღარიბის, ეკონომიკური თუ მატერიალური პრობლემების მიმართ. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ევროკავშირში სიღარიბისა და სოციალური იზოლაციის რისკის წინაშე უფრო მეტად არიან მარტოხელა მშობლები, ვიდრე ორმშობლიანი ოჯახები. ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებს გარკვეული მექანიზმები, რომლებიც მარტოხელა მშობლების მხარდასაჭერადაა მიმართული. როგორც წესი, არსებობს ორი ტიპის პოლიტიკა, რომელიც სიღარიბის რისკის შემცირებას და მარტოხელა მშობლების გაძლიერებას ემსახურება. პირველი, რომელიც სოციალური დახმარების სხვადასხვა ფორმის უზრუნველყოფას გულისხმობს და მეორე შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობას და გაზრდას. სახელმწიფოების მიერ პრაქტიკაში დანერგილი მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს უნივერსალურ საგადასახადო შეღავათებს, ასევე მიზნობრივ მომსახურებებს რომელიც მარტოხელა ოჯახების სპეციფიკურ საჭიროებებს ითვალისწინებს (European Commission, 2019).

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვით მტკიცდება, რომ მარტოხელა დედების უმრავლესობისთვის მთავარი სტრესის გამომწვევი ფაქტორი უკავშირდება ფინანსურ პრობლემებს . სოციალური მოცემულობა, ის რომ მარტო არიან და მხარდამჭერი არ ჰყავთ აისახება მათ ემოციურ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ისინი თავს მარტოსულად, უმწეოდ, უიმედოდ გრძნობენ, იდენტობისა და ნდობის ნაკლებობას განიცდიან. მარტოხელა დედების უმრავლესობას უჭირს ბავშვებს შორის დისციპლინის დაცვა ოჯახში მამრობითი სქესის წევრის არარსებობის გამო. ასევე, ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობისთვის თავის გართმევა და შვილებისთვის რუტინის დამკვიდრება (Kotwa, 2009).

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს მომსახურებები და პროგრამები, რომლებიც მარტოხელა მშობლებისა თუ მათი შვილების სპეციფიკურ საჭიროებებზეა ორიენტირებული.

მაგალითად, საფრანგეთი უზრუნველყოფს როგორც სპეციალურ მიზნობრივ დახმარებას , ასევე გადასახადის შემცირებას მარტოხელა მშობლებისთვის .გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში სხვადასხვა ფორმის სოციალური დახმარება არსებობს. მაგალითად ესპანეთში, მთავრობის ახალი სტრატეგიით საცხოვრებლით დაკმაყოფილების დროს პრიორიტეტი ენიჭებათ მრავალშვილიან და მარტოხელა ოჯახებს. იქედან გამომდინარე, რომ დასაქმება და ფინანსური პრობლემები ერთი-ერთი მთავარია გამოწვევაა ზემოთ აღნიშნული ჯგუფისთვის , ორგანიზაციები თუ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები სოციალური პოლიტიკის დაგეგმვისას ცდილობენ ამ ფაქტორის გათვალისწინებას. ნახევარ განაკვეთიანი სამსახურების და მოქნილი სამუშაო საათების არსებობა ,ეხმარება მშობლებს თავიანთი სამუშაო განრიგი შეუსაბამონ ოჯახის საჭიროებებს და ყურადღების მიღმა არ დარჩეთ ზრუნვის ვალდებულებაც. სლოვაკეთი და საბერძნეთი იმ სახელმწიფოების რიცხვში შედიან, რომელშიც მარტოხელა დედებისთვის დეკრეტული შვებულების პერიოდი გრძელვადიანი და სხვა დასაქმებულებთან შედარებით გახანგრძლივებულია (European Commission, 2019).

საქართველოში ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკა არსებობს, სახელმწიფო ნაკლებადაა ჩართული მარტოხელა მშობლების გაძლიერებაში. როგორც, მიმოხილული ლიტერატურიდან ვიგებთ, საქართველოში შრომის ბაზარი ნაკლებად ან საერთოდ არ არის

მორგებული მარტოხელა დედების საჭიროებებს. ნახევარ განაკვეთზე დასაქმების შესაძლებლობა მათ არ აქვთ, ბაღის და სკოლის განრიგის შეთავსება სამსახურთან შეუძლებელია. თავშესაფრის მომსახურების გარდა არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც ბავშვს დაიტოვებენ და დედისთვის თავისუფალი დრო იარსებებს. აღნიშნული გარემოებებითაა განპირობებული, რომ მარტოხელა დედების უმრავლესობა არის სახელმწიფო შემწეობის იმედზე და არ აქვს ფინანსური დამოუკიდებლობა (ვერულაშვილი, 2021).

2017 წელს „ადამიანის უფლებების განვითარების ფონდის“ ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველში მარტოხელა დედების უმთავრესი პრობლემებია: ოჯახთან გაწყვეტილი ურთიერთობები, საზოგადოების დამოკიდებულება, სტიგმატიზაცია, სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერის დეფიციტი(Euronews Georgia, 2021).

მეთოდოლოგია

მოცემული ნაშრომის მიზანია დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მყოფი მარტოხელა დედების საჭიროებების შესწავლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. დადგენა იმ საჭიროებებისა და გამოწვევების, რომლის წინაშეც დგანან მარტოხელა დედები;
2. გამორკვევა იმისა, რამდენად ახერხებენ მარტოხელა დედები ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელი უსაფრთხო ფიზიკური, სოციალური და ემოციური გარემოს შექმნას;
3. თუ რა გავლენას ახდენს თანადგომის ქსელის არსებობა მარტოხელა დედობაზე;
4. მარტოხელა მშობლებთან მომუშავე ორგანიზაციების რეფლექსია მარტოხელა მშობლებისა და ბავშვების საჭიროებებზე (საქართველოს კარიტასი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი და SOS ბავშვთა სოფელი).

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც ჩატარდა საქართველოს კარიტასის, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის და SOS ბავშვთა სოფელში მცხოვრებ 12 მარტოხელა დედასთან, რომელთა ასაკი 18- 50 წლამდე მერყეობდა. ასევე ამ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელ სამ სოციალურ მუშაკთან. კვლევაში გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევის მეთოდი.

კვლევის შეზღუდვა გახლავთ ის, რომ მოცემული კვლევის ფარგლებში შესწავლილია, მხოლოდ თბილისის მასშტაბით არსებულ სამ თავშესაფარში მცხოვრები მარტოხელა დედების საჭიროებები. შეფასებულია მხოლოდ დედებისა და სოციალური მუშაკების პოზიცია, ხოლო შვილების განწყობები ჩვენთვის უცნობია. ამასთანავე ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ინტერვიუები ჩატარდა ორგანიზაციების ბაზაზე რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა რესპონდენტების პასუხებზე. აღსანიშნავია , რომ კვლევის ფარგლებში არ არის შესწავლილი კოვიდ-19 ისა და პანდემიის გავლენა მარტოხელა დედების საჭიროებებზე. რამდენად შესუსტდა თუ გამწვავდა მათი ყოველდღიურობა.

კვლევის შედეგები

მარტოხელა დედებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ვიგებთ, რომ თავშესაფარში მცხოვრები მარტოხელა დედები უამრავი საერთო გამოწვევის წინაშე დგანან, თუმცა მიუხედავად ამისა ეს არ არის ჰომოგენური ჯგუფი. მათი პრობლემები განსხვავებულია პირადი ისტორიებიდან გამომდინარე. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა , რომ მათ აქვთ სხვადასხვა სირთულე, რომელიც დაკავშირებულია სახლის პოვნასთან, დასაქმებასთან, სახელმწიფოს მხრიდან არ არსებულ დახმარებასთან. ძირითად შემთხვევებში თავშესაფარში მოხვედრილი დედების უმრავლესობას არ აქვს წასასვლელი, სადაც უსაფრთხოდ და დაცულად შეძლებს შვილთან ერთად დაძინებას. მათი მონაყოლიდან ვიგებთ, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, რთულია დაბალ ფასში იქირაო ბინა თბილისში. ანაზღაურება საკმარისი არაა, რომელიც ეყოფა როგორც ბავშვის მოვლასა და აუცილებელი ნივთების შეძენაში ასევე სახლის ქირის გადახდაში. თავშესაფარში მოხვედრილი მარტოხელა დედების დიდ ნაწილს არ აქვს მიღებული სრულფასოვანი განათლება, პროფესიასაც კი არ არიან დაუფლებულები. აღნიშნული გარემოება ართულებს მათ დასაქმებას, რადგან არ აქვთ პროფესია. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც მიუხედავად მათი უმაღლესი განათლებისა ისინი ვერ ახერხებენ შრომით ბაზარზე ინტეგრაციას ,რადგან ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავთ ამიტომ იძულებულები ხდებიან სამსახურს თავი დაანებონ. ერთ-ერთი რესპონდენტის, რომელიც საჯარო უწყებაში იყო დასაქმებული, ინტერვიუდან ვიგებთ, რომ მას ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, მშობლების და ახლობლების გარდაცვალების გამო, ბავშვის დამტოვებელი აღარ დარჩა და ამიტომ იძულებული გახდა სამსახურიდან წამოსულიყო . ვციტირებ:

“ ჩემი ყველა სამსახურისთვის შვილი აღმოჩნდა ბერკეტი, მბლოკავდნენ. რადგან როცა იგებდნენ, რომ მარტოხელა დედა ვიყავი უკან მისტუმრებდნენ“.

თავშესაფარში მცხოვრები დედების უმრავლესობა ბავშვის გაჩენისთანავე მარტო დამოუკიდებლად უძღვება შვილის აღზრდისა და გაზრდის პასუხისმგებლობას. მარტო ყოფნა თითოეულ მათგანზე ემოციური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მძიმედ მოქმედებს. გაუთავებელი ნერვიულობა, ხვალინდელ დღეზე ფიქრი თუ რა გააკეთოს საკუთარი შვილისთვის და როგორ შეამსუბუქოს ეს განსაცდელი . დედები ერთხმად აუღერებენ, რომ მარტო ყოფნა რთულია როცა გარშემო დამხმარე და მხარდამჭერი არავინ არ გყავს. გიწევს ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა, რომ გაუმკლავდე ამ ყველაფერს. არანაირი მოლოდინს და ხელშეწყობას ვერ ხედავ სახელმწიფოს მხრიდან.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მარტოხელა დედები, რომლებსაც გარშემო ჰყავთ მეგობრები და ახლობლები თანადგომის ქსელის სახით მათ უფრო ნაკლები შფოთი, ემოციური ფონი და გაღიზიანება აქვთ. ხოლო ისეთი მარტოხელა დედების შემთხვევაში, რომლებიც სრულიად მარტო არიან და გარშემო მხარდამჭერის სახით არავინ ეგულებთ სურათი უფრო მძიმეა და სტრესის მაჩვენებელი უფრო მაღალია. იმ ორგანიზაციის, თავშესაფრის ფარგლებში, სადაც ძიძის მომსახურება ხელმისაწვდომია, დედები ახერხებენ დასაქმებას. მაგრამ ძირითად შემთხვევაში დედებს არ აქვთ

სამსახური, სტაბილური შემოსავალი, ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად ფინანსურად რეალიზდნენ. რესპონდენტებიდან იყვნენ ისეთი დედებიც, რომლებიც თავადაც თავშესაფარში გაიზარდნენ და ახლა შვილთან ერთად უწევთ ყოფნა. ვციტირებ რესპონდენტის ნათქვამს:

„ იმავეს არ გამოვაცდევინებ ჩემს შვილს, რა გზაც მე გამოვიარე, რაც მე დამაკლდა მას უნდა ჰქონდეს“.

როგორც ზემოთ ვახსენე დედების უმრავლესობა ბავშვს დაბადებიდან ან პატარა ასაკიდანვე მარტო ზრდის და უძღვება დაკისრებულ პასუხისმგებლობას. ზოგიერთი მათგანი ახერხებს გააზრებას იმისა, თუ რა საჭიროება აქვს მის არასრულწლოვან შვილს, მაგრამ იყვნენ კვლევის ფარგლებში ისეთი რესპონდენტი დედებიც, რომლებსაც მშობლობის უნარები არ აქვთ გამომუშავებული, არ იციან და ვერ უმკლავდებიან ბავშვის აღზრდას. აღსანიშნია, ის მოცემულობა რომ მშობლებისგან მიტოვებულ ბავშვებს ბიოლოგიურ დონეზე აქვთ გათავისებული მშობლობა, დედობის ინსტიქტი გვიან ან საერთოდ არ აქვთ ჩამოყალიბებული. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ამისა დედების უმრავლესობას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მარტო არიან და მათ გარშემო დამხმარე არ გამოჩნდება.

თავშესაფარში მცხოვრები დედები აღნიშნავენ, რომ იქ ყოფნის დროს მათი და მათი შვილებისთვის ხდება როგორც საბაზისო, ასევე სხვა დამატებითი საჭიროებებით უზრუნველყოფა. თავს დაცულად გრძნობენ, არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ. რესპოდენტების უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავდა, რომ მთავარი გამოწვევა და სირთულე დაკავშირებულია თავშესაფრის დატოვებასთან. როდესაც მათი მომსახურების ვადა იწურება უჩნდებათ შიში, რომ ისევ მოუწევთ მძიმე რეალობასთან შეგუება, ადაპტაცია რთულია მათთვის რადგან გარემო არ იცვლება ვერ პასუხობს მათ საჭიროებებს. მარტოხელა დედების უმრავლესობა აღიარებს, იმ ფაქტს, რომ ხდებიან მომსახურებაზე დამოკიდებულები, უჭირთ თავშესაფრის დატოვება ბინის მოძებნა და დასაქმება. თავადვე აღნიშნავენ იმას, რომ უძნელდებათ რეალობასთან ინტეგრირება. რადგან მათ არ აქვთ საკმარისი სახსრები და მზაობა, რომ მარტო გაუმკლავდნენ ამ ყველაფერს. მიუხედავად თავშესაფარში მყოფი სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგისა თუ იურისტის გაღებული ძალისხმევის, გაძლიერებისა თუ მხარდაჭერისა ქვეყანაში არსებული გარემო არ იცვლება. თუმცა აქაც შეიმჩნეოდა განსხვავებული ტენდენციები რესპოდენტების პასუხებში. ის მარტოხელა დედები, რომლებსაც გარშემო ჰყავთ თანადგომის ქსელი ახერხებს დასაქმებას და გამოსავლის პოვნას. ხოლო ვისაც არ ჰყავს არავინ ისინი სკეპტიკურად უყურებენ არსებულ მოცემულობას და ნაკლებად არიან იმედიანად განწყობილები. ვციტირებ ერთ-ერთი მარტოხელა დედის ნათქვამს:

„ ადამიანურად საჭიროა გვერდით გყავდეს ვინმე, მაგრამ ყოველთვის სხვა ვერ დაგეხმარება და მის იმედზე ვერ იქნები.“

რესპოდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ მარტოხელა დედებისთვის, კონკრეტულად ამ სამიზნე ჯგუფისთვის არანაირი მომსახურება არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, რომელსაც იღებს ყველა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც გარკვეულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. თავშესაფარში ყოფნის პერიოდში მათ უწყდებათ სოციალური დახმარება და ისინი სარგებლობენ

მხოლოდ თავშესაფრის მომსახურებით. როგორც თავად ამბობენ მარტოხელა დედები სახელმწიფოს მხრიდან უხილავები არიან, არავინ ითვალისწინებს მათ პრობლემებსა და საჭიროებებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ქვეყანაში არსებულ რეალობას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ დედებს არც მომავალში აქვთ იმის იმედი, რომ ქვეყანაში რამე შეიცვლება და სახელმწიფო მათ გაუწევს სათანადო დაეხმარებას ან მხარდაჭერას. მათი აზრით, სოციალური პოლიტიკა მოწყობილია ისე, რომ უკიდურესად გააღარიბოს და მოწყვლადი გახადოს მარტოხედა დედა. უკიდურეს დონემდე ჩაძიროს, ყველა გზა ჩაუხერგოს და ღია ცისქვეშ დატოვოს. რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ მოცემულობაზე, რომ მთავარია ქვეყანაში არსებობდეს ისეთი პროგრამები თუ მომსახურებები, რომელიც გააძლიერებს მარტოხელა დედებს, შეუწყობს ხელს მათ დასაქმებას, ფინანსურ რეალიზებას და არ გახდის მიჯაჭვულს სახელმწიფოს ფულად შემწეობაზე.

სოციალურ მუშაკებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

სოციალურ მუშაკებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ თავშესაფარში მოხვედრილი ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია საკუთარი პირადი ისტორიიდან თუ საჭიროებიდან გამომდინარე. თუმცა მიუხედავად ამისა, მარტოხელა დედებს შორის შეიმჩნევა საერთო ტენდენციები, რაც მათ რაღაც დონეზე აერთიანებთ. სიღარიბე, არასაკმარისი შემოსავალი, წასასვლელის არ ქონა, დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულე. ეს მოკლე ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რაც თითოეული მარტოხელა დედისთვის საზიაროა. სოციალური მუშაკები ინტერვიუების დროს აღნიშნავდნენ, რომ თავშესაფარში მოხვედრილი ბენეფიციარების უმრავლესობა ოჯახის წევრების ან მეუღლის მხრიდან ერთხელ მაინც ყოფილა ძალადობის მსხვერპლი და გამოუცდია ნებისმიერი ფორმის ძალადობა. ეს ფაქტი, რომ მათ ცხოვრებაში ადგილი ჰქონია ძალადობრივ გამოცდილებას უფრო მოწყვლადს ხდის მათ და თითქოს გარკვეულ წრეს აყალიბებს, რომელიც ჯაჭვური რეაქციით გრძელდება. მათი პრაქტიკული გამოცდილებიდან ასკვნიან, რომ მარტოხელა დედების უმრავლესობა თავშესაფარს და ნავსაყუდელს ხედავს მამაკაცში. ამიტომ ხშირადაა, რომ ცდილობენ პარტნიორის გაჩენას. პრაქტიკოსებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ მხარდამჭერი ქსელი ძალიან ცოტა მარტოხელა დედას ჰყავს. ვის ცხოვრებაშიც არსებობენ ასეთი ადამიანები ნათესავებისა თუ მეგობრების სახით ნაკლებად არიან ჩართულები, ზედმეტ პასუხისმგებლობას არ იღებენ. ამიტომ დედებს დამოუკიდებლად უწევთ ბავშვზე ზრუნვა. თუმცა ყურადსაღებია ისიც, რომ თანადგომის ქსელის არსებობა ბევრ რამეს ცვლის. ეს აისახება დედების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, ნაკლებად აქვთ შფოთი და ფორიაქი.

სოციალური მუშაკები ინტერვიუების დროს აღნიშნავდნენ , რომ მარტოხელა დედობა ხშირად ბენეფიციარებს უბიძგებთ ,რომ ბავშვები განათავსონ სახელმწიფო ზრუნვაში, რადგან ვერ ახერხებენ მათთვის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ხშირად ბავშვი აღიქმება როგორც ტვირთი, რომელიც ხელს უშლის მათ თავისუფლად ცხოვრებაში. შესაძლებელია ამ ყველაფერში სახელმწიფოსაც დავაკისროთ პასუხისმგებლობა, რადგან მას არ აქვს შემუშავებული ისეთი სოციალური პოლიტიკა, რომელიც დაეხმარება მარტოხელა დედას რეალიზიებაში. პირიქით ხელს უშლის და ბევრ რამეში

აბრკოლებს. ამიტომ აღნიშნული ვითარება განაპირობებს იმას, რომ დედა ნებსით თუ უნებლიეთ ტოვებს ბავშვს სახელმწიფო ზრუნვაში და თავს არიდებს პასუხისმგებლობას.

კვლევის შედეგებში გამოიკვეთა ის, რომ მთავარი გარდამტეხი მომენტი უკავშირდება თავშესაფრიდან გასვლას. თავშესაფარში ყოფნის დროს დედები მშვიდად არიან, რადგან საფრთხე ამ პერიოდის განმავლობაში არ ემუქრებათ. მაგრამ როდესაც უკვე მოდის თავშესაფრიდან გასვლის დრო, მათი მომსახურების ვადა იწურება ისინი თითქოს არ არიან მზად ამისთვის, რადგან მათი რეალობა ნაკლებადაა შეცვლილი. სოციალური მუშაკისა თუ სხვადასხვა სპეციალისტის ჩატარებული ინტერვენციის მიუხედავად, გარემო რომელშიც დედას უწევს დაბრუნება იგივეა. ამიტომ ხშირად არის, რომ მიჯაჭვულები არიან თავშესაფრის მომსახურებაზე და შესაძლებლობის შემთხვევაში ერთი თავშესაფრიდან გადადიან მეორეში. სოციალური მუშაკების ინტერვიუებიდან ვიგებთ, რომ ხშირად მიმართავენ მსგავს პრაქტიკას მათი ბენეფიციარები. ამას გარკვეული გარემოებებიც განაპირობებს, რადგან თავშესაფარში ყოფნის დროს როგორც დედების ასევე მათი არასრულწლოვანი შვილების ყველა საბაზისო საჭიროება დაკმაყოფილებულია. ამ დროის განმავლობაში ყველა ორგანიზაცია უზრუნველყოფს მათთვის სათანადო მზრუნველი გარემოს შექმნას.

ინტერვიუების შედეგად ვიგებთ, რომ ქვეყანაში კონკრეტულად მარტოხელა დედების ჯგუფისთვის არ არის რაიმე სერვისი ან ფულადი სახელმწიფო დახმარება. თბილისის რეგიონის მასშტაბით ფუნქციონირებს world vision- ის ბაღი, რომელიც ჯგუფში ბავშვების მცირე რაოდენობას ითვალისწინებს და შესაბამისად იქ მოხვედრაც რთულია. ორგანიზაციის მომსახურებები აკმაყოფილებს მათ გამოვლენილ საჭიროებებს, მაგრამ ეს დროებითია, რადგან თავშესაფრის დატოვების შემდეგ ისინი ისევ იმავე პრობლემებს აწყდებიან დასაქმების და საცხოვრებლის პოვნის კუთხით.

დასკვნა

კვლევის შედეგების მიხედვით საკმაოდ ბევრი პრობლემა იკვეთება. თავშესაფარში მცხოვრები მარტოხელა დედები არ არინ ჰომოგენური ჯგუფის წარმომადგენლები , მათ კომპლექსური და მრავალმხრივი საჭიროებები აქვთ გამოვლენილი . შესწავლილი ლიტერატურა და ჩატარებული ინტერვიუები მიუთითებს, რომ ქვეყანაში კონკრეტულად ამ სამიზნე ჯგუფისთვის არ არსებობს სერვისი ან მომსახურება. სოციალური პოლიტიკა ისეა მოწყობილი, რომ ვერ ეხმარება და რეალურად არ აძლიერებს მათ, პირიქით ხდის მათ თავშესაფარზე დამოკიდებულს. შესაძლოა ცვლილებები ხორციელდება, მაგრამ ის იმდენად მინიმალურია რომ საერთო კლიმატს ვერ ცვლის. თავდაპირველად მაკრო საკანონმდებლო დონიდან უნდა დაიწყოს ცვლილებების გატარება, რომელიც შეეხება მარტოხელა დედის სტატუსის განსაზღვრას, თუ ვინ შევა ამ ჯგუფში. შემდგომში რეფორმა აუცილებლად უნდა შეეხოს დასაქმებას და სამუშაო გრაფიკს, რომელიც იქნება მოქნილი და მორგებული მათ საჭიროებებზე. მნიშვნელოვანია საბინაო პოლიტიკაში გარკვეული შეღავათების დაწესება რათა ავირიდოთ ქუჩაში მოხვედრის რისკი და ისევ ბავშვისთვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე დავიცვათ მათი უსაფრთხოება. საჭიროა პრევენციული ხასიათის ღონისძიებების გატარება, რათა მარტოხელა დედა არ გახდეს უფრო მეტად დაუცველი და მოწყვლადი, როგორც

დღეს არის საქართველოში. ის რეალობა რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში აქვთ მარტოხელა დედებს ძალიან მძიმეა. ისინი ყველა ნაბიჯზე აწყდებიან წინააღმდეგობას. ამიტომ საჭიროა კომპეტენტური, კვალიფიციური და გამოცდილი კადრების მეშვეობით ცვლილებების ორგანიზება.

ბიბლიოგრაფია

European Commission. (2019). *Mechanisms supporting single parents across the European Union.* მოპოვებულია https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/3ade5c22-b4d7-11e9-9d01-01aa75ed71a1/language-en

Euronews Georgia . (2021). *მარტოხელა დედები სირთულეების პირისპირ.* მოპოვებულია https://euronewsgeorgia.com/2021/03/22/martokhela-dedebi-sirtuleebis-pirispir/

Harkness, S. (2019). *The Rise in Single-Mother Families and Children's Cognitive Development: Evidence From Three British Birth Cohorts*. მოპოვებულია

https://srcd.onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/cdev.13342

Kotwa, N. (2009). *Problems Faced by Single Mothers.* მოპოვებულია https://www.researchgate.net/publication/242143638_Problems_Faced_by_Single_Mothers-

Shumaila Khadim, A. & Sarmad Muhammad S. (2019). *Single Parenting: Understanding Reasons and Consequences.* მოპოვებულია https://juniperpublishers.com/jojnhc/pdf/JOJNHC.MS.ID.555781.pdf

ვერულაშვილი, თ. (2021). *მარტოხელა დედობის საფასური.* მოპოვებულია https://feminism-boell.org/ka/2021/11/08/martokhela-dedobis-sapasuri?fbclid=IwAR3yJT4jVj9ME4bhG316Jwx1W_1uT-4_MWxr4IL8124XXhLbV4wY8lw4-oE-

საქართველოს პარლამენტი . (2022). *მარტოხელა დედის და მარტოხელა მამის სტატუსის განსაზღვრების განახლება.* მოპოვებულია https://parliament.ge/media/news/martokhela-dedis-da-martokhela-mamis-statusis-gansazghvra-akhleburad-mokhdeba-

საქართველოს პარლამენტი. (2014). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.* მოპოვებულია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2629299?publication=1-

ცაავა, მ. (2020). *როგორ ცხოვრობენ მარტოხელა დედები საქართველოში: ოთხი ისტორია.* მოპოვებულია https://jam-news.net/ge/rogor-ckhovroben-martokhela-dedebi-saqartveloshi-otkhi-istoria/-